სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 01

2019 წ. "04" 01

ქ.თბილისი

შპს სკოლა ქართულის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2018 წლის 11 დეკემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს სკოლა ქართულის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის N 1581550) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 ნოემბრის N 72 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს სკოლა ქართულის ავტორიზაციის გაუქმებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩივრის მიღების საკითხი. გაეცნო წარმოდგენილ მასალებს. მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^4 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს სკოლა ქართულის N 1581550 სააპელაციო საჩივარი.

2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი , დავით აღმაშენებლი ხეივანი, მე - 12 კმ. N 6.

თავმჯდომარე

ნოდარ პაპუკაშვილი